



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 72

2019 წლის 31 ოქტომბერი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 5 სექტემბრის N2002/02 მომართვის საფუძველზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მდებარე 2154 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე მდებარე შენობა-ნაგებობასთან ერთად (ს/კ 22.33.06.045) და სოფელ აჭარისწყალში მდებარე 2272 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე მდებარე შენობა-ნაგებობასთან (ნანგრევები) ერთად (ს/კ 22.31.01.864) შემდგომში მათზე ეთნოსოფლის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობის მიზნით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე